საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/43

ქ. ბათუმი 27 მარტი, 2019 წელი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2019 წლის საგაზაფხულო მიღების გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,პროფესიული განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 27 აგვისტოს N57 გადაწყვეტილების, ,,პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილების, ,,პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანების, ,,2019 წლის გაზაფხულის პროფესიული ტესტირების გზით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად და შემდგომ საფეხურებზე აპლიკანტთა მიღების გამოცხადების მიზნით, სახელმწიფოს მიერ/მონაწილეობით დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სპეციალური პროგრამის შევსების ვადების განსაზღვრის თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 21 მარტის N339 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერის 2019 წლის 25 მარტის N349041 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს 2019 წლისათვის საგაზაფხულო მიღება წინამდებარე ბრძანების N1 დანართით გათვალისწინებულ ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.
2. ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის მსურველთა **რეგისტრაცია** (პირადობის მოწმობის საფუძველზე) განხორციელდეს **2019 წლის 8 აპრილიდან 19 აპრილის ჩათვლით,** 10 საათიდან 17 საათამდე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ქალაქი ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/32, მე-3 კორპუსში, მეოთხე სართულზე, ოთახი N404).

3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის მსურველთა რეგისტრაცია ასევე შესაძლებელია განხორციელდეს **2019 წლის 8 აპრილიდან 19 აპრილის ჩათვლით** ელექტრონულად, შემდეგ მისამართზე - http://vet.emis.ge/.

4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დარეგისტრირებულ აპლიკანტთა **პრეტესტი** (იმიტირებული გამოცდა) ჩატარდეს **2019 წლის 4 მაისს** (პრეტესტის ჩატარების ადგილი მითითებული იქნება რეგისტრაციის შედეგად აღებულ საგამოცდო ბარათში).

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დარეგისტრირებულ **აპლიკანტთა ტესტირება** (გამოცდა) ჩატარდეს **2019 წლის 5 მაისს** (ტესტირების ჩატარების ადგილი მითითებული იქნება რეგისტრაციის შედეგად აღებულ საგამოცდო ბარათში).

6. აპლიკანტთა ტესტირების შედეგები გამოქვეყნდეს (პირადი ნომრების გარეშე) ბსუ-ს ვებგვერდზე **2019 წლის 6 მაისიდან 10 მაისის ჩათვლით** (ამ ვადაში აპლიკანტი უფლებამოსილია შეცვალოს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის არჩევანი).

7. სსსმ აპლიკანტს ტესტირებაში მონაწილეობის მიღების უფლება წარმოეშობა ექსპერტთა გუნდის დასკვნის საფუძველზე. რეგისტრაციის შემდეგ ტესტირებამდე სსსმ აპლიკანტი ვალდებულია ბსუ-ს წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტაცია: ა) ექსპერტთა გუნდის დასკვნა, რომლითაც დასტურდება სსსმ აპლიკანტის სპეციალური/დამატებითი საგანმანათლებლო საჭიროება, დამოწმებული ექსპერტთა გუნდის მინიმუმ სამი წევრის ხელმოწერით; ბ) ინდივიდუალურ სასწავლო გეგმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლითაც სსსმ აპლიკანტი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლობდა ცალკეულ კლასში/სემესტრში ან საფეხურის ბოლო კლასში, დამოწმებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის სამუშაო ჯგუფის ან/და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ხელმოწერებით; გ) სენსორული (სმენის და მხედველობის) დარღვევის შემთხვევაში: 1. აუდიოგრამა (სმენის დარღვევისას); 2. ოფთალმოლოგის მიერ გაცემული ცნობა (მხედველობის დარღვევისას); 3. შესაბამისი სპეციალისტის მიერ გაცემულ სამედიცინო ცნობა, ქცევითი და ემოციური აშლილობისას; 4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელ დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

8. სსსმ აპლიკანტის ტესტირებას ორგანიზებას გაუწევს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი. ტესტირება მოიცავს სსსმ პირის მიერ შერჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი/შემდგომი საფეხურის შესატყვისი აქტივობების პრაქტიკულ მოსინჯვას.

9. ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ აპლიკანტებმა **2019 წლის 25 მაისიდან 29 მაისის** ჩათვლით (კვირის გარდა), ხელშეკრულების გაფორმებისა და პირადი საქმის გახსნის მიზნით ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრში (ქალაქი ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/32, მე-3 კორპუსში (ყოფილი საერთო საცხოვრებლის შენობა, მეოთხე სართულზე, ოთახი N402) უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება (თუ აპლიკანტი ქმედუუნაროა/შეზღუდულქმედუნარიანია, განცხადება უნდა წარმოადგინოს მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა);

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ქმედუუნაროა/შეზღუდულქმედუნარიანი პირის შემთხვევაში ასევე მშობელის/კანონიერმა წარმომადგენელის პირადობის მოწმობა და უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი - პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირის დაბადების მოწმობა ან მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს განცხადების წარმოდგენაზე და ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილებას);

გ) სრული ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი - დანართი 1-ის პირველ და მე-4 გრაფებში მითითებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის, ხოლო **საბაზო განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი** - დანართი 1-ის მე-2, მე-3 და მე-5 გრაფებში მითითებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის (პირმა, რომელმაც განათლება მიიღო უცხოეთში, უნდა წარმოადგინოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი - უცხოეთში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის აღიარების შესახებ).

დ) ორი ფოტოსურათი 3X4-ზე;

ე) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირებისათვის).

10. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ **ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცეს 2019 წლის 31 მაისს,** ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირებთან შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმების საფუძველზე.

11. ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე (დანართი 1) **სასწავლო პროცესი დაიწყოს 2019 წლის 3 ივნისს.**

12. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს აპლიკანტთა რეგისტრაცია და ამასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება.

13. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში - ,,განცხადებები" და ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი") და გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტებსა და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.

14. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რეტორის მოადგილეს (თამარ სირაძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყეტი განათლების ცენტრს, ფაკულტეტებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.

15. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის
27 მარტის N 01-02/43 ბრძანების დანართი 1.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებზეც 2019 წლისათვის ცხადდება საგაზაფხულო მიღება

(სასწავლო პროცესის დაწყების თარიღი - 2019 წლის 3 ივნისი)

	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა კრედიტებში		პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა თვეების მიხედვით		ადგილების რაოდენობა	მათ შორის ადგილების რაოდენობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის
		ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის		
1	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი (V საფეხური, მოდულური)	111	141	16	21	19	2
2	ვებ ინტერფეისის დიზაინერი (III საფეხური, მოდულური)	63	78	10	12	20	2
3	ვებ ინტერფეისის დეველოპერი (III საფეხური, მოდულური)	61	76	10	12	20	2
4	არქიტექტორ ტექნიკოსი (IV საფეხური, მოდულური)	84	114	14	16	15	2
5	მეფუტკრე (III საფეხური, მოდულური)	76	91	12	14	10	1
	სულ:					84	9